ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 02 თებერვლის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2025 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ზურაბ იჩქიტიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: აკაკი ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 02 თებერვლის მორიგი სხდომის

ოქმი N 3

2026 წლის 02 თებრვალი

9 აპრილის ქუჩა #15

დაბა ხარაგაული

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკნაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, კობა კვირიკაშვილი, ჟანა ნემსაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, გივი თხელიძე, როინ გელაშვილი, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე , მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკტერინე შველიძე, იზოლდა ვეფხვაძე, ვლადიმერ ტალახაძე, გელა მაღრაძე, გრიგოლ ჭიპაშვილი, გურამ კურტანიძე, ბესიკი ტალახაძე, ბესარიონ გრიგალაშვილი, სპარტაკ ლაცაბიძე, მიხეილ ჭიპაშვილი, გივი მაისურაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ზურაბ იჩქიტიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

აკაკი ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატი

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ნინო კაპანაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის" ჟურნალისტი,

ლაურა გოგოლაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის" რედაქტორი

სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგ

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2025 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ზურაბ იჩქიტიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: აკაკი ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 32 წევრი.

მომხრე 32

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის **ზურაბ იჩქიტაის** ანგარიში სამსახურის მიერ მიერ 2025 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, ანგარიში დეტალურად არის წარმოდგენილი, წვრილმანებში ჩახედვის საჭიროება არ იკვეთება, სამსახური მოქმედებს დებულების შესაბამისად, კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხი გასულიყო საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კობა კვირიკაშვილმა საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განვიხილეთ კომისიის სხდომაზე, წარმოდგენილის ანგარიშში იკვეთება ჩატარებული საქმიანობა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ვაფასებ დადებითად და მოვუწოდებ კოლეგებს მხარდაჭერისაკენ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად

შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 33 წევრი.

მომხრე 32

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა:

განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის **აკაკი ლურსმანაშვილის** ანგარიში სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ჟანა ნემსაძემ საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულს საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ კომისიამ სხდომაზე იმსჯელა მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრისა და სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების შემოწმების შედეგად აღმოჩენილ ხარვეზებზე, ორივე დაწესებულების ხელმძღვანელი მოწვეული იყვნენ კომისიის სხდომაზე და აღნიშნეს, რომ მიღებული რეკომენდაციების შესრულებისათვის მუშაობა უკვე დაწყებულია.

პავლე კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ანგარიშს გავეცანით კომისიის ფორმატში, შრომატევადი სამუშაოა, გავეცანით რეკომენდაციებს, მითითებები სრულყოფილია დაა სამსახურის საქმიანობას ვაფასებ დადებითად

კობა კვირიკაშვილმა საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განვიხილეთ კომისიის სხდომაზე,

საქმიანობა ხარისხიანად არის წარმართული დებულების შესაბამისად. სამსახურის საქმიანობას ვაფასებ დადებითად

ვარლამ ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად სამსახურების მიმართ შესაძლებელია ადმინისტრაციული ზომებიც იყოს გამოყენებული.

მიხეილ ჭიპაშვილმა საკრებულოს წევრმა პარტიიდან „ლელო ძლიერი საქართველო“ მან თქვა, რომ გავეცანი ანგარიშს კონკრეტულად არაფერია ნათქვამი იმ ნაკლოვანებებზე რაც ა.ა.ი. პირებშია და მიღებული რეკომენდაციების არის უმტკივნეულო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 33 წევრი.

მომხრე 31

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა:

განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ბესიკი კვირიკაშვილი საკრებილოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და მხარს უჭერს განიხილოს საკრებულომ სხდომაზე, ვინაიდან ეს არის კანონის მოთხოვნა, რომ დადგენილება უნდა გამოიცეს ყოველწლიურად თებერვლის თვეში, მიუხედავად იმისა შედის თუ არა ცვლილება წინა დადგენილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 33 წევრი.

მომხრე 32

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 1

საკრებულომ დაადგინა:

დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოსხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი **დავით კიკნაძე**